საქართველო

სანოტარო აქტი

ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007"-ის დაფუძნების შესახებ

თბილისი
2007

ხელშეკრულება
ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის შესახებ.

1. ამხანაგობის სახელწოდება და დამფუძნებლები

1.1 ამხანაგობის სახელწოდებაა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე-2007".

დამფუძნებლები: გრიგოლ ყიფიანი, ლევან ნადირაშვილი, ჯონდი ყიფიანი, ბაკურ კიკნაძე, ვასილ კანაშვილი, დალი კიკნაძე, მანანა სტურუა, გიორგი ლაზარიაშვილი.

1.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

– **ამხანაგობა** – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გიორგი ბრცყინვალე 2007".

– **„ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება"**- (შემდგომში კრება) ამხანაგობის უმაღლესი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის შესახებ. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრის მიერ.

– **დამფუძნებელი წევრი** – ამხანაგობის დამფუძნებელი პირი, რომელიც კისრულობს ვალდებულებას დააფინანსოს და მესაკუთრეს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი.

– **მესაკუთრე წევრი** – პირი რომელმაც შენატანი განახორციელა უძრავი ქონების სახით.

– **ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი** – ფიზიკური პირი, რომელიც განახორციელებს შენატანს მისთვის საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართის ასაშენებლად და უფლებამოსილია მხოლოდ მისი შენატანის ფარგლებში.

– **წარმომადგენელი** – ფიზიკური პირი, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგენს ამხანაგობის წევრს ამხანაგობასთან ურთიერთობაში.

– **შენატანი** – ფულადი, მოძრავი ან უძრავი ქონება ან უფლებების ერთობლიობა, რომელსაც ამხანაგობის წევრები გადასცემენ საკუთრებაში ამხანაგობას.

– **სასტარტო კაპიტალი** – დამფუძნებლების მიერ ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემული ფულადი, უძრავი ან მოძრავი ქონების ჯამი.

2. საქმიანობის მიზანი, სამართლებრივი სტატუსის სახელწოდება

2.1 ამხანაგობა იქმნება ერთობლივი საქმიანობისთვის. იგი მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და ამ ხელშეკრულების დებულების შესაბამისად. ამხანაგობის შექმნის მიზანია მრავალსართულიანი ბინათმშენებლობის განხორციელება ამხანაგობის წევრებისათვის მისამართზე: დიდი დიღმის დასახლება. I მკ/რ, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვეთი №1.

საცხოვრებელი და საოფისე შენობის მშენებლობა მოიცავს, შენობის სრული კარკასის აღმართვას, ყველა აუცილებელი კომუნიკაციების მიერთებას, გარე ფასადის კარ-ფანჯრებით აღჭურვას, შიდა გავლით შელესვა და საერთო სარგებლობის ფართების (კიბის უჯრედი, სახურავი) მოპირკეთებას, ეზოს კეთილმოწყობას.

ამხანაგობის საერთო მიზანში არ შედის თითოეული საცხოვრებელი და ან არასაცხოვრებელი ფართის შიდა მოპირკეთება და კეთილმოწყობა, აღნიშნული მოვალეობა ეკისრება შესაბამისი ფართის მესაკუთრეს.

2.2 -მესამე პირებთან ურთიერთობის გამარტივებისა და იდენტიფიკაციის მიზნისათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივ-საქმიანობას-ამხანაგობას ეწოდება ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007" (შემდგომში მოიხსენება, როგორც „ამხანაგობა")

2.3 „ამხანაგობის" მართვის ორგანოს ადგილსამყოფელია თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №1, ბინა №88.

3. შენატანები ამხანაგობაში

3.1 ზემოთ აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად დამფუძნებლებს შეაქვთ ამხანაგობაში სასტარტო კაპიტალი 100 000 ლარი.

3.2 მიწის შესაკუთრეები: საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

თენგიზ ნასარაია – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/06/14/016, უფლების რეგისტრაცია №63786/2007–, გაცემის თარიღი 23.05.07წ, ზონა: თბილისი 01,სექტორი საბურთალო 10, კვარტალი 06, ნაკვეთი 14/016, საერთო საკუთრება, დაზუსტებული ფართობი 1500კვ.მ. ცნობა ყადაღის შესახებ: რეგისტრაციის ნომერი ყად–44453 თარიღი 23.05.07წ.

დავით ბათილაშვილი – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/06/14/016, უფლების რეგისტრაცია №63786/2007, გაცემის თარიღი 21.05.07წ, ზონა: თბილისი 01, სექტორი საბურთალო 10, კვარტალი 06, ნაკვეთი 14/016, საერთო საკუთრება, დაზუსტებული ფართობი 1500კვ.მ. ცნობა ყადაღის შესახებ: რეგისტრაციის ნომერი ყად–44446 თარიღი 23.05.07წ.

ნათია სეხნიაშვილი – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/06/14/016, უფლების რეგისტრაცია №63786/2007, გაცემის თარიღი 21.05.07წ, ზონა: თბილისი 01, სექტორი საბურთალო 10, კვარტალი 06, ნაკვეთი 14/016, საერთო საკუთრება, დაზუსტებული ფართობი 1500კვ.მ. ცნობა ყადაღის შესახებ: რეგისტრაციის ნომერი ყად–44450 თარიღი 23.05.07წ.

9.1-ის გათვალისწინებით გადასცემენ ამხანაგობას მიწის ნაკვეთს მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვეთი №1.

4. დამფუძნებელ წევრთა კრება

4.1 „დამფუძნებელ წევრთა" კრება არის „ამხანაგობის" მმართველობის უმაღლესი ორგანო.

4.2 „დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, „ამხანაგობის" თავმჯდომარის, ან რომელიმე „დამფუძნებელი წევრის" მოთხოვნით.

4.3 „დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა „დამფუძნებელ წევრთა" რიცხვითი რაოდენიობის 2/3-ის თანხმობა, (თითოეული წევრისაგან თითო ხმა).

4.4 „დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

– ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრთა მიღება, გამგეობის წევრებისა და ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა.

– გამგეობის ფინანსური ანგარიშის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება;

– ძირითად ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;

– გამგეობისა და ამხანაგობის საერთო კრების მიერ შემოტანილი საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

5. ამხანაგობის გამგეობა. ამხანაგობის თავმჯდომარე

5.1 „ამხანაგობის" მმართველ (აღმასრულებელ) ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის გამგეობა.

5.2 „ამხანაგობის" გამგეობა შედგება 4წევრისაგან- თავმჯდომარესა და 3 რიგითი წევრისაგან.

5.3 ამხანაგობის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით გამგეობის წევრად არჩეულნი არიან: გრიგოლ ყიფიანი, ლევან ნადირაშვილი, ბაკურ კიკნაძე, მანანა სტურუა.

5.4 გამგეობის ფუნქციებია:
- „ამხანაგობის" მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
- მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
- ურთიერთობის განხორციელება სააშშენებლო კომპანიებთან;
- ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა „პროექტის" მიმდინარეობის შესახებ;
- „ამხანაგობისათვის" წინადადების მომზადება ახალი წევრის მიღებისა და შესაბამისი შენატანისა და წილის განსაზღვრისათვის;
- სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია „ამხანაგობის" ყოველდღიურ საქმიანობასთან.

5.5 დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულია გრიგოლ ყიფიანი.

5.6 ამხანაგობის თავმჯდომარე გამგეობის სხვა წევრებთან შეთანხმებით ახორციელებს იგივე საქმიანობას, რასაც „ამხანაგობის" გამგეობა. ამასთან, გამგეობის თავმჯდომარეს გააჩნია „ამხანაგობის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს „ამხანაგობა" ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში.

5.7 იმ საკითხებთან მიმართებით, რაც განეკუთვნება „დამფუძნებელ წევრთა" კრების და გამგეობის კომპეტენციას, თავმჯდომარე საჭიროებს ამ ორგანოთა თანხმობას.

5.8 ამხანაგობის თავმჯდომარე ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე.

6. ამხანაგობის ფინანსური საქმიანობა

6.1 ამხანაგობის ფინანსური საქმიანობა ხორციელდება არამეწარმეო-ეკონომიური ამხანაგობისათვის საფინანსო სფეროში დადგენილი საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ფაქტების შესაბამისად.

7. „ამხანაგობის" წევრთა შორის წილის განსაზღვრის მექანიზმი

7.1 „ამხანაგობის" წევრთა ძირითად მიზანს წარმოადგენს დასრულებულ შენობაში განსაზღვრული ოდენობის საცხოვრებელი (და არასაცხოვრებელი) ფართის საკუთრებაში მიღება. შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა შორის წილთა გადანაწილება გამოისახება საკუთრებაში მისაღები საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მიხედვით.

7.2 „ამხანაგობაში" წილი, კერძოდ კი შენობის აშენების შემდგომ საკუთრებაში მისაღები საცხოვრებელი (ან არასაცხოვრებელი) ფართის ოდენობა, განლაგება და

შენატანის ოდენობა განისაზღვრება „დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილებით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფორმითა და მექანიზმით.

7.3 მშენებლობის დამთავრებისა და შენატანების სრულად განხორციელების შემდეგ დგება თანასაკუთრების ტაბულა და წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

7.4 „ამხანაგობის" თანასაკუთრების ტაბულაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება, „დამფუძნებელ წევრთა" კრების გადაწყვეტილებით.

8. ამხანაგობის წევრები და მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები

8.1 ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის წევრი უნდა აღიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე „ამხანაგობის" ხელშეკრულებას და მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს.

8.2 „ამხანაგობის" წევრად გახდომის ფაქტით, ნებისმიერი ასეთი პირი ადასტურებს, რომ იგი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას მიიჩნევს სავალდებულოდ.

8.3 „ამხანაგობის" თითოეულ წევრთან ამხანაგობის თავმჯდომარე აფორმებს შეთანხმებას ამხანაგობაში შენატანის შეტანის შესახებ.

8.4 „ამხანაგობის" წევრის მიღებისას „დამფუძნებელ წევრთა" კრება განსაზღვრავს მისაღები წევრის წილს, საკუთრებაში მისაღები ქონების იდენტიფიკაციით.

8.5 „დამფუძნებელ წევრთა" კრება განსაზღვრავს ყოველი წევრის შენატანის ოდენობასა და ფორმას, მისი განხორციელების გრაფიკის ჩათვლით.

8.6 „ამხანაგობის" ყოველი წევრი ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში და ოდენობით განახორციელოს დათქმული შენატანები ამხანაგობაში.

8.7 „ამხანაგობის" თითოეული წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას, ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას. ეს განსაკუთრებით ეხება შენობის გარე ფასადს.

8.8 ამხანაგობის წევრს შეუძლია დაესწროს დამფუძნებელთა კრებას და მას აქვს სათათბირო ხმის უფლება.

9. ამხანაგობის ურთიერთობა მესაკუთრესთან

9.1 მესაკუთრე წევრები თენგიზ ნასარაია, დავით ბათილაშვილი, ნათია სეხნიაშვილი ამხანაგობის მიერ აშენებულ სახლში ამხანაგობაში შენატანის საკომპენსაციოდ მიიღებენ 1200კვ.მ საცხოვრებელ დახურულ ფართს აზომილს გარე კონტურზე დამატებული შესაბამისი აივნებით შემდეგი პირობებით: ტიხრები, გაჯით შელესვა, მეტალოპლასმასის გარე კარ-ფანჯარა, წყლის და კანალიზაციის დგარები, ელექტრო ქსელი კარებამდე, რკინის კარები. სიმაღლე იატაკიდან იატაკამდე 3,3მ. 300კვ.მ კომერციულ ფართს შემდეგი პირობებით გაჯით ლესვა, დგარები წყლის, კანალიზაციის, ელექტრო ენერგიის. ჭერის სიმაღლე 4მ. 9 ავტოსადგომს. საცხოვრებელი ბინების და ავტოსადგომების ადგილმდებარეობის შერჩევა მოხდება ამხანაგობის მესაკუთრე წევრების მიერ, რომლებსაც ენიჭებათ უპირატესი უფლება ადგილ მდებარეობის შერჩევისას. კომერციული ფართი განთავსდება შერჩეული ბინების ქვეშ.

9.2 ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს შეიყვანოს ამხანაგობაში ჩვეულებრივი წევრები, ისე რომ, ამხანაგობის მესაკუთრე წევრების უფლებები არ შემცირდეს, ან სხვაგვარად არ შეიღახოს. წევრთა შეყვანა არ უნდა იწვევდეს ამხანაგობის მესაკუთრე წევრების სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.

9.3 ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებული არიან საამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ ფართების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს, კუთვნილი ბინების ნომრები, სართულები და სადარბაზო, კომერციული ფართი და ავტოფარეხის ფართი.

9.4 თუ ამხანაგობის თავმჯდომარე ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის დამთავრებას ხელშეკრულების გაფორმებიდან ოცდაათი თვის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში მას დამფუძნებლებთან ერთად მესაკუთრეების სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა გადასაცემი ბინების საბაზრო ღირებულების 0,05% ოდენობით – ყოველ გადაცილებულ თვეზე.

9.5 ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადავადდება მდგომარეობის დასრულებამდე. ამ შემთხვევაში ამხანაგობის თავმჯდომარეს საჯარიმო სანქციები არ დაეკისრება.

9.6 ამხანაგობა პროექტის შედგენის შემდეგ პუნქტი 3.2 მესაკუთრეებთან აფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებას, სადაც განსაზღვრულია ამხანაგობის ვალდებულებები მათ წინაშე და მესაკუთრის ვალდებულებები.

9.7 ამხანაგობა ვალდებულია მესაკუთრეებს გადასცეს პუნქტი 9.1 განსაზღვრული ფართობი 30 თვეში ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან.

9.8 პუნქტი 3.2 მიწის მესაკუთრეები იტოვებენ უფლებას აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიბრუნონ მიწის ნაკვეთი აშენებული ნაგებობებით, ყოველგვარი ხარჯების გადახდის (დაფარვის) გარეშე.

10. ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა. ამხანაგობის წევრის გარიცხვა და წილის კომპენსაცია.

10.1 „ამხანაგობის წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, შენატანის შეტანის თაობაზე.

10.2 „ამხანაგობის" წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის რიგებიდან იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ ემორჩილება და სისტემატურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

10.3 შენატანის განუხორციელებლობისას ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ამხანაგობის გამგეობა (ან გამგეობის თავმჯდომარე) ამგვარ წევრს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შენატანის განსახორციელებლად. თუ დათქმულ ვადაშიც შენატანი არ განხორციელდება გამგეობა წინადადებით შეავა „დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრებაზე დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ.

10.4 წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი.

10.5 წევრის გარიცხვის შედეგად გამონთავისუფლებული ფართი შემდგომში განთავსდება საერთო წესით „დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილებით.

10.6 „ამხანაგობიდან" გარიცხვისას, წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა. ამასთან, დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% (ათი პროცენტი) და სანოტარო და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება

მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამონთავისუფლებული ფართი განთავსებული იქნება.

11. „ამხანაგობის" წევრის წილის განკარგვა

11.1 „ამხანაგობის" წევრები აცხადებენ თანხმობას იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია გაასხვისოს საკუთარი წილი ამხანაგობაში „ჩვეულებრივ წევრთა" თანხმობის გარეშე.

11.2 ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისებისათვის აუცილებელია „დამფუძნებელ წევრთა" თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს ნებისმიერ შემთხვევაში გარდა იმისა, როდესაც არსებობს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი.

11.3 ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისებისას „დამფუძნებელი წევრები" სარგებლობენ წილის შეძენის უპირატესი უფლებით.

11.4 წილის ახალი შემძენი ვალდებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიიღოს მასში გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა. წილის შემძენზე გადადის ყველა ის ვალდებულება, რაც წილთან დაკავშირებით გააჩნდა წინა წევრს.

12. „ამხანაგობიდან" გასვლა

12.1 ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს „ამხანაგობიდან," რაც არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

12.2 „ამხანაგობიდან" გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს გამგეობას. გამგეობა მოცემულ საკითხს განსახილველად გადასცემს „დამფუძნებელ წევრთა" კრებას, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის „ამხანაგობიდან" გასვლის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის „ამხანაგობიდან" გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან 45 დღის ვადაში.

12.3 წევრს გასვლის შედეგად უკან უბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი შენატანები, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისათვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, გასვლის შედეგად გამონთავისუფლებული ფართის შემდგომ განთავსებამდე.

13. ერთობლივი საქმიანობის ვადა

13.1 წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც: ა) დასრულდება შენობის მშენებლობა; ბ) იგი მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) ყველა წევრი რეგისტრირებული იქნება, როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე საქართველოს საჯარო რეესტრში; დ) სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური ვალდებულებები „ამხანაგობის" მიმართ.

13.2 ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წევრები განიხილებიან როგორც ბინის

მესაკუთრეთა ამხანაგობა და კისრულობენ ვალდებულებას გააფორმონ ურთიერთშორის შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ამხანაგობის გამგეობა თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული მდგომარეობის – ომები, სტიქიური უბედურებანი, საქართველოს პრეზიდენტისა და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არსებულ წინააღმდეგობაში მოდიან ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებულ რეალობასთან და არ ვრცელდება ხელშეკრულების დადების შემდგომ პერიოდზე) შედეგად. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ვადები გადავადდება ასეთი ფორს-მაჟორული მდგომარეობის დასრულებამდე.

14.2 ფორს-მაჟორული შეფერხების შემთხვევაში ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს საჯარიმო სანქციები არ ეკისრება.

15. დავა

15.1 ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით და კონსენსუსის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დამფუძნებლები სამართლებრივ ურთიერთობაში პასუხს აგებენ თავიანთ საკუთრებაში არსებული ქონებით.

16. „ამხანაგობის" დოკუმენტაციის აღრიცხვა

16.1 ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც საჭიროებისამებრ აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;

ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების ტაბულა.

17. დასკვნითი დებულება

17.1 წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

17.2 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ამასთან ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

წინამდებარე აქტი შედგენილია რვა თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად,

რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ხოტივარის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მხარეებს. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ

ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერეს ხელი მას.

ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007"-ის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს ქეთევან ხოტივარის სანოტარო არქივში, აქვს შემდეგი დანართები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არასასოფლო –სამეურნეო მიწის შესახებ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/06/14/016, უფლების რეგისტრაცია: №63786/2007, გაცემის თარიღი: 23.05.2007, ცნობა ყადაღის შესახებ: რეგისტრაციის ნომერი ყად-44453 თარიღი 23.05.07წ.
2. საკადასტრო კოდი №01/10/06/14/016, უფლების რეგისტრაცია: №63786/2007, გაცემის თარიღი: 23.05.2007, ცნობა ყადაღის შესახებ: რეგისტრაციის ნომერი ყად-44446 თარიღი 23.05.07წ.
3. საკადასტრო კოდი №01/10/06/14/016, უფლების რეგისტრაცია: №63786/2007, გაცემის თარიღი: 23.05.2007, ცნობა ყადაღის შესახებ: რეგისტრაციის ნომერი ყად-44450 თარიღი 23.05.07წ.

დამფუძნებლები:

გრიგოლ ყაფიანი – (დაბ. 21.06.71წ. თბილისი, პირადი №01026001476 პ/მ №ბ 0750144 გაც. თბილისი, საბურთალოს ს.რ.ს. სამსახურის მიერ 28.07.05წ. მცხ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზირი 45, კორ. 26, ბინა №21)

გიგოლ ყაფიანი

ლევან ნადირაშვილი – (დაბ. 17.05.1976წ. თბილისი, პირადი №01024001389 პ/მ № დ0887666 გაც. თბილისი, ს.რ.ს საბურთალოს სამსახურის მიერ 27.02.2006წ. მცხ. თბილისი, ოდესის ქ.№11)

ლევან ნადირაშვილი

ვასილ კანაშვილი – (დაბ. 17.02.71წ. თბილისი, პირადი №01008036572 პ/მ №გ0727773 გაც. თბილისი, ვაკის საპასპორტო მ.რ. სამსახურის მიერ 06.06.05წ. მცხ. თბილისი, ვ. ფშაველას 47, კორ. 2, ბინა №125)

ვასილ კანაშვილი

გონდო ყიფიანი – (დაბ. 02.06.45წ. ქუთაისი, პირადი №01026001474 პ/მ №გ 0479892 გაც. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის შ.ს. სამმართველოს მიერ 24.12.03წ. მცხ. თბილისი, შ. დადიანის 28)

გონდო ყიფიანი

მანანა სტურუა – (დაბ. 05.10.54წ. სამტრედია, პირადი №01025018321 პ/მ

№გ 0442174 გაც. თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონის შ.ს.ს. IV განყ. მიერ 22.12.03წ. მცხ. თბილისი დიდი დიღომი გიორგი ბრწყინვალეს I, ბინა №93)

მანანა სეხნაძე

დალი კიკნაძე – (დაბ. 06.11.41წ. ვანი, პირადი №01024035365 პ/მ №ბ 0334218 გაც. თბილისი ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I განყ. მიერ 30.07.01წ. მცხ. თბილისი, ბახტრიონის !3, ბინა №102)

დალი ვეკუა

ბაკური კიკნაძე – (დაბ. 02.07.1969წ. ქუთაისი, პირადი №60001030476 პ/მ №ა 0441151 გაც. თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს I-განყოფილების მიერ 04.12.2003წ. მცხ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ.№35ა, ბინა15)

ბაკური ვეკუა

გიორგი ლაზარიაშვილი – (დაბ. 22.09.86წ. თბილისი, პირადი №01030033043 პ/მ №დ 0412516 გაც. თბილისის ჩუღურეთის შ.ს. რაი-განყოფილების მიერ 07.05.03წ. მცხ. თბილისი, უზნაძის 79/81)

გიორგი ლაზარიაშვილი

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

რეესტრში რეგისტრაციის №1- 2560

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას შვიდი წლის ოცდახუთ მაისს მე, ქ. თბილისის მე, ქეთევან ხოტივარს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართ'ზე: ბულაჩაურის ქ. №7ა, მომმართეს მოქალაქეებმა: **გრიგოლ ყიფიანმა, ჯონდო ყიფიანმა, ლევანი ნადირაშვილმა, ვასილ კანაშვილმა, გიორგი ლაზარიაშვილმა, დალი კიკნაძემ, მანანა სტურუამ, ბაკურ კიკნაძემ, თენგიზ ნასარაიამ, დავით ბათილაშვილმა და ნათია სეხნიაშვილმა** მათ წარმოადგინეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა **„გიორგი ბრწყინვალე 2007"-ის** დაფუძნების ხელშეკრულება და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გრიგოლ ყიფიანმა** – დაბად. 21.06.1971 წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზ. 45, კორპ. 26, ბ. 21, პირადი №01026001476, პ/მოწმობა №ბ 0750144, გაც. 28.07.2005 წ. თბილისის საბურთალოს სმრ სამსახურის მიერ; **ჯონდო ყიფიანმა** – დაბად. 02.06.1945 წელს ქუთაისში, მცხ. ქ. თბილისი, შ. დადიანის №28, პირადი №01026001474, პ/მოწმობა №ბ 0479892, გაც. 24.12.2003 წ. მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მიერ; **ლევანი ნადირაშვილმა** – დაბად. 12.01.1975 წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ბახტრიონის 13, ბ. 10, პირადი №01024030773, პ/მოწმობა №ბ 0265375, გაც. 05.02.2000 წ. თბილისის საბურთალოს რ-ის შ/ს სამმ-ოს მიერ; **ვასილ კანაშვილმა** – დაბად. 17.02.1971 წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ვ. ფშაველას 47, კორპ. 2, ბ. 125, პირადი №01008036572, პ/მოწმობა №ბ 0727773, გაც. 06.06.2005 წ. ვაკის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ; **გიორგი ლაზარიაშვილმა** – დაბად. 22. 09.1986 წელს თბილისში, მცხ. უზნაძის ქ. 79/81, პირადი №01030033043, პ/მოწმობა №დ 0412516, გაც. 07.05.2003 წ. ჩულურეთის შს რაი-განყოფილების მიერ; **დალი კიკნაძემ** – დაბად. 06.XI.1941 წელს ვანში, მცხ. ქ. თბილისი, ბახტრიონის ჭუჩა 13, ბინა 102, პირადი №01024035365, პ/მოწმობა №ბ 0334218, გაც. 30.07.2001 წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I გან-ბის მიერ; **მანანა სტურუამ** – დაბად. 05.10.1954 წელს სამტრედიაში, მცხ. ქ. თბილისი, დ/დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს I, ბინა 93, პირადი №01025018321, პ/მოწმობა №ბ 0442174, გაც. 22.12.2003 წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის შსს მე-4 განყ-ბის მიერ, **ბაკურ კიკნაძემ** – დაბად. 02.07.1969 წელს ქუთაისში, მცხ. ქ. თბილისი, ყაზბეგის 1. №35ა, ბინა 15, პირადი №60001030476, პ/მოწმობა №ა 0441151, გაც. 04.12.2003 წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I გან-ბის მიერ, **თენგიზ ნასარაიამ** – დაბად. 22.09.1967 წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, თემქის დ. 3 მ/რ 13, ბინა 102, პირადი №01021007777, პ/მოწმობა №ა 0217139, გაც. 28.05.1999 წ. ნაძალადევის რ-ნის შს 2-ე გან-ბის მიერ, **დავით ბათილაშვილმა** – დაბად. 26.08.1964 წელს , თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი, სახლი 18, კორპ. 1 ბ. 12, პირადი №01029017363, პ/მოწმობა №ბ 0524213, გაც. 30.08.2004 წ. თბილისის ისანი-სამგორის შ.ს.ს. 5 გან-ბის მიერ და **ნათია სეხნიაშვილმა** – დაბად. 19.11.1972 წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ბუხაიძის ქ. №18, პირადი №01030020348, პ/მოწმობა №ა 0226788, გაც. 09.02.1999 წ. თბილისის ჩულურეთის შს სამმართველოს მიერ. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, აგრეთვე, დარწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მხარეებმა წაკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით **გრიგოლ ყიფიანმა, ჯონდო ყიფიანმა, ლევანი ნადირაშვილმა, ვასილ კანაშვილმა, გიორგი ლაზარიაშვილმა, დალი კიკნაძემ, მანანა სტურუამ, ბაკურ კიკნაძემ, თენგიზ ნარსიამ, დავით ბათილაშვილმა და ნათია სეხნიაშვილმა** მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, რასაც ვადასტურებ.

გადახდილია სახელმწიფო 362.50 ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის სახელმწიფოს შესახებ საქართველოს კანონი. 11.06.1998 წ. №1417 IIს)

ნოტარიუსი _____ /ქ. ხოტივარი/

სანოტარო აქტი

შეთანხმება ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა „ვიორგი ბრწყინვალე 2007–2“-ის) შესახებ დამფუძნებელ სანოტარო აქტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

2007 წლის 27 ივნისი

რეესტრში რეგისტრაცის № 1-3374

ნოტარიუსი ქეთევან ხოტივარი
ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. 7ა

თბილისი
2007

სანოტარო აქტი

რეგისტრაციის № 1-3374

საქართველო

ორი ათას შვიდი წლის ოცდაშვიდ ივნისს მე, ქეთევან ხოტივარს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ბულაჩაურის ქ. №7ა, მომმართეს **გრიგოლ ყიფიანმა და სულიკო ჩხენკელმა. გრიგოლ ყიფიანმა** წარმოადგინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა **„გიორგი ბრწყინვალე 2007-2“-ის** სადამფუძნებლო ხელშეკრულება (დამოწმებული 2007 წლის 25 მაისს ნოტარიუს ქეთევან ხოტივარის მიერ რეესტრით №1-2560)და მოითხოვა ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მასი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გრიგოლ ყიფიანმა** – (დაბად. 21.06.1971 წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზ. 45, კორპ. 26, ბ. 21, პირადი №01026001476, პ/მოწმობა №ბ 0750144, გაც. 28.07.2005 წ. თბილისის საბურთალოს სმრ სამსახურის მიერ) **და სულიკო ჩხენკელმა** (დაბად. 01.04.1940 წელს ხონში, მცხ. თბილისი, ცაგარელის ქ. №73, პირადი №01024042001, პირადობის მოწმობა №გ 0441474, გაცემული 28.12.2003 წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს ს.ს.ს I გან-ბის მიერ) მომმართეს.

სულიკო ჩხენკელმა განაცხადა, რომ სურთ ამხანაგობა „ გიორგი ბრწყინვალე 2007-2“-ში გაწევრიანება და შესაბამისი შენატანის განხორციელება.

მე დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა და შევადგინე შეთანხმება №1 ამხანაგობა „ გიორგი ბრწყინვალე 2007-2“-ის დამფუძნებელ სანოტარო აქტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მათ. ზემოთ აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ შეთანხმება №1 ამხანაგობა „ გიორგი ბრწყინვალე 2007-2“-ის დამფუძნებელ სანოტარო აქტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი შემდეგ შეთანხმებას:

სანოტარო აქტს, რომელიც განსაზღვრავს ამხანაგობის წევრთა შემადგენლობას, დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

ამხანაგობა „ გიორგი ბრწყინვალე 2007-2“-ის წევრად შემოვიდეს

1. **სულიკო ჩხენკელი** (დაბად. 01.04.1940 წელს ხონში, მცხ. თბილისი, ცაგარელის ქ. №73, პირადი №01024042001, პირადობის მოწმობა №გ 0441474, გაცემული 28.12.2003 წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს ს.ს.ს I გან-ბის მიერ) ამხანაგობაში შემონატანით, რომელიც წარმოადგენს უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთს, მდებარე ქ. თბილისი, დიდი დილმის I მ/რ-ში ცენტრალური გზის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ უბანი II (ნაკვეთი №2). საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №82047/2007, თარიღი 20.06.2007 წ., ,სარეგისტრაციო №1/10/6/14/15, გაც. 22.06.2007 წ, დანართი საკადასტრო რუკა; სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი – 1, სექტორი – საბურთალო, კოდი – 10, კვარტლის – №6, ნაკვეთის – №14/15, ფართობი – 900 კვ.მ., უფლება – საკუთრება, ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, ნაკვეთის წინა №14; მიწის ნაკვეთი – სულიკო ჩხენკელის საკუთრება, მცხოვრები ცაგარელის ქუჩა №73, ყადაღა: არ არის რეგისტრირებული, საგადასახადო ვირაუნობა/იპოთეკის უფლება: არ არის დატვირთული მომზადების თარიღი: 21.06.2007; 19:00.

ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) „ გიორგი ბრწყინვალე 2007-2“-ში “ მიღებულ ახალ წევრს მის მიერ განხორციელებული შენატანის საკომპენსაციოდ გადაეცემა:

სულიკო ჩხენკელს – ამ მიწის ნაკვეთზე აშენებულ კორპუსში 700 კვმ საცხოვრებელ ფართს შავკარკასულ მდგომარეობაში: გარე კედლები, ტიხრები, რკინის კარი, გარე კარ-ფანჯრები. დგარები: წყლის, კანალიზაციის, ელექტრო. გარე ფასადი მოწყობილი. ოთხი მიწისქვეშა ავტოსადგომი. კომერციული ფართს I სართულზე 100 კვმ, შესრულების ვადები განისაზღვროს 24 თვე მშენებლობის ნებართვის მიღებიდან.

სულიკო ჩხენკელმა, განაცხადა, რომ ამხანაგობაში თავის შენატანი-მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვროს 49500 ორმოცდა ცხრა ათასს ხუთასი) ლარით.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქ. ხოტივარის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერეს ხელი მას.

გადახდილია საზღაური 214 ლარი
ი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი. 11.06.1998წ. №1417 IIს)

გიორგი ყიფიანი

სულიკო ჩხენკელი

ნოტარიუსი: _____ ქ. ხოტივარი

"

ბინათმშენებლობის ამხანაგობა
„გიორგი ბრწყინვალე 2007–2" – ის დამფუძნებელთა კრების ოქმი №4

ქ. თბილისი „ 27 " მარტი 2009წ.

კრებას ესწრებოდნენ: გრიგოლ ყიფიანი, ლევან ნადირაშვილი, ჯონდი ყიფიანი, ბაკურ კიკნაძე, ვასილ კანაშვილი, დალი კიკნაძე, მანანა სტურუა, გიორგი ლაზარიაშვილი.

კრების თავმჯდომარე: ბ. კიკნაძე
მდივანი: ლ. ნადირაშვილი

დღის წესრიგი: 1) გ. ყიფიანის განცხადების განხილვა, მისი დამფუძნებლობიდან გასვლის შესახებ;
2) ვ. კანაშვილის განცხადების განხილვა, მისი დამფუძნებლობიდან გასვლის შესახებ.
3) ჯ. ყიფიანის განცხადების განხილვა, მისი დამფუძნებლობიდან გასვლის შესახებ.

მოისმინეს: გ. ყიფიანის, ვ. კანაშვილის, ჯ. ყიფიანის განცხადებები.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს გ. ყიფიანის, ვ. კანაშვილის და ჯ. ყიფიანის განცხადებები დამფუძნებელ წევრობიდან გასვლის შესახებ 27 მარტიდან.

კრების თავმჯდომარე: /ბ. კიკნაძე/
მდივანი: /ლ. ნადირაშვილი/

სანოტარო აქტი

*რეესტრში რეგისტრაციის №*09002460O

საქართველო

ორი ათას ცხრა წლის ორ აპრილს მე, ქეთევან ხოტივარს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ბულაჩაურის ქ. №7, მომმართეს ***ბატონმა ბაკურ კიკნაძემ*** (დაბად. 02.07.1969 წელს ქუთაისში, მცხ. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 35ა, ბინა 15, პირადი №60001030476, პ/მოწმობა №ა 0441151, გაც. 04.12.2003 წელს თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I გან-ბის მიერ) როგორც ბინათმშენებლობის ამხანაგობა "**გიორგი ბრწყინვალე 2007-2**"-ის დამფუძნებელთა კრების თავმჯდომარემ, და ***ბატონმა ლევან ნადირაშვილ***-(დაბადებული 12.01.1975 წ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №1 ბ. 102, პირადი №01024030773, პ/მოწმობა №ბ 1067555, გაცემულია 18.06.2007 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ). მათ წარმოადგინეს და მოითხოვეს ბინათმშენებლობის ამხანაგობა "**გიორგი ბრწყინვალე 2007-2**"-ის დამფუძნებელთა კრების №4 ოქმზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის ნოტარიალური დადასტურება.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მათ ჩემს თანდასწრებით მოაწერეს ხელი ბინათმშენებლობის ამხანაგობა "**გიორგი ბრწყინვალე 2007-2**"-ის დამფუძნებელთა კრების №4 ოქმს, რასაც ვადასტურებ.

გადახდილია საზღაური 4 *ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი. 11.06.1998წ. №1417 IIს)*

ნოტარიუსი _____ **/ქ. ხოტივარი/**

ბინათმშენებლობის ამხანაგობა
„გიორგი ბრწყინვალე 2007–2" – ის დამფუძნებელთა კრების ოქმი №5

ქ. თბილისი „30" ოქტომბერი 2010წ.

კრებას ესწრებოდნენ: ლევან ნადირაშვილი, ბაკურ კიკნაძე, დალი კიკნაძე, მანანა სტურუა, გიორგი ლაზარიაშვილი.

კრების თავმჯდომარე: ლ. ნადირაშვილი
მდივანი: ბ. კიკნაძე

დღის წესრიგი: 1) ბ. კიკნაძის განცხადების განხილვა, მისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ;
2) ახალი თავმჯდომარის არჩევა.

მოისმინეს: ბ. კიკნაძის განცხადება: იმის გამო, რომ სხვა საქმიანობით არის დაკავებული აღარ შეუძლია გააგრძელოს ამხანაგობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

დაადგინეს: განთავისუფლდეს ბ. კიკნაძე თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებიდან ა/წ 1 ნოემბრიდან.

მოისმინეს: ლ. ნადირაშვილის წინადადება ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007-2"-ის თავმჯდომარედ მანანა სტურუას არჩევის შესახებ.

დაადგინეს: არჩეულ იქნას ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007-2"-ის თავმჯდომარედ მანანა სტურუა ა/წ 1 ნოემბრიდან.

კრების თავმჯდომარე: ლევან ნადირაშვილი /ლ. ნადირაშვილი/

მდივანი: ბაკურ კიკნაძე /ბ. კიკნაძე/

ამხანაგობის წევრები: დალი კიკნაძე დალი კიკნაძე

მანანა სტურუა მანანა სტურუა

გიორგი ლაზარიაშვილი გიორგი ლაზარიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N101132170
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.11.2010 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ინგა ხარძიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	30 89 30; მაგთი ფიქსი: 8 90 76 16 51; მობ: 8 99 50 28 34;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28509181468310

ორიათას ათი წლის ათ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. # 6, პირველ სართულზე მომმართეს გიორგი ლაბარიაშვილმა, მანანა სტურუამ, დალი კიკნაძემ, ბაკურ კიკნაძემ და ლევან ნადირაშვილმა. მათ წარმოადგინეს ბინათმშენებლობის ამხანაგობა "გიორგი ბრწყინვალე 2007-2"-ის დამფუძნებელთა კრების ოქმი #5 30.10.20106. ხუთ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობები მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტებით: გიორგი ლაბარიაშვილი - დაბადებული 22.09.1986 წ. თბილისში, პირადი #01030033043, მცხოვრები: ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. #29; მანანა სტურუა - დაბ. 05. 10. 1954 წ. სამტრედიაში, პირადი # 01025018321, მცხოვრები თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს I, ბინა 93; დალი კიკნაძე - დაბადებული 06.11.1941 წ. ვანში, პირადი #01024035365, მცხოვრები: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. 13, ბინა 102; ბაკურ კიკნაძე - დაბადებული 02.07.1969 წ. ქუთაისში, პირადი #60001030476, მცხოვრები: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 35ა, ბინა 15; ლევან ნადირაშვილი - დაბადებული 12.01.1975 წ. თბილისში, პირადი #01024030773, მცხოვრები: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. #13, ბინა 102. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 1998 წლის 11 ივნისს # 1417 29-ე მუხლისა ორმოცდაათი ლარი და სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის 31 1 მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ გადახდილია ორმოცდაათორმეტი ლარი.

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007–2" – ის დამფუძნებელთა კრების ოქმი №6

ქ. თბილისი „11" ივნისი 2012წ.

კრებას ესწრებოდნენ: მანანა სტურუა, ლევან ნადირაშვილი, დალი კიკნაძე, გიორგი ლაზარიაშვილი.

კრების თავმჯდომარე: მ. სტურუა
მდივანი: ლ. ნადირაშვილი

მოისმინეს: ამხანაგობის თავმჯდომარის მ. სტურუას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის მერიის საქალაქო ზედამხედველობამ პროექტში აღმოაჩინა შეუსაბამობა კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილში. ამიტომ საჭიროა მოხდეს პროექტის კორექტირება.

აზრი გამოთქვეს: ლ. ნადირაშვილმა, გ. ლაზარიაშვილმა.

დაადგონეს: შევიდეს ცვლილებები დიდ დიღომში მშენებარე №2 კორპუსის საპროექტო დოკუმენტაციაში. აგრეთვე კოეფიციენტი K-2 გაიზარდოს 5,3-მდე.

კრების თავმჯდომარე: მანანა სტურუა /მ. სტურუა/

მდივანი: ლევან ნადირაშვილი /ლ. ნადირაშვილი/

ორი ათას თორმეტი წლის თერთმეტ ივნისს, მე, ნოტარიუსს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუბუსოეის) ქ. № 6, პირველ სართულზე მომმართეს **მანანა სტურუამ** და **ლევან ნადირაშვილმა**. მათ წარმოადგინეს **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007-2"-ის დამფუძნებელთა კრების ოქმი № 6, 11.062012წ.** და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობები მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტებით: **მანანა სტურუა** - დაბ. 05.10.1954წ. სამტრედიაში, პირადი № 01025018321, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დ/დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს I, ბინა 93; **ლევან ნადირაშვილი** – დაბ. 12.01.1975წ. თბილისში, პირადი №01024030773, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ბახტრიონის 13, ბინა 102. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო სახელაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ კანონის 31-ე მუხლისა გადახდილია ოთხი ლარი (აგრეთვე დ.დ.გ 0.72 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.დ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია ექვსი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი .

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120602127
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.06.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ინგა ხარძიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	55493311357712

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18